საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 6 2022 წლის 17 იანვარი ქ. თბილისი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 55^2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. გამოცხადდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის შესარჩევი კონკურსი;

2. კონკურსში მონაწილეობის პირობების თაობაზე ინფორმაცია გამოქვეყნდეს საჯაროდ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის შესარჩევი საკონკურსო კომისიის მიერ, მისთვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის კანდიდატურების წარდგენის ვადისა და წესის განსაზღვრის შემდეგ.

ირაკლი ღარიბაშვილი